

შპს „NS Studio”

ქ.სიღნაღის რაიონული სასამართლოს (მის.:ც.დადიანის ქ.N15)
არსებული შენობის მომიჯნავედ ონსართულიანი მიშენების
დაშლა-დემონტაჟის ორგანიზაციის
პ რ ო ე ქ ტ ი

ღირეშტორი:

ლ.ჩაგანავა

შეაღბინა:

ა. შურღია

თბილისი 2017 წ.

სარჩევი

1. შესავალი.
2. ობიექტების დახასიათება.
3. მშენებლობის ვადა. მშენებლობის წარმოების მეთოდები.
4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე.
სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი.
5. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით.
6. ადმინისტრაციული ნაგებობები.
7. სამშენებლო გენ-გეგმა (განმარტებითი ბარათი).
8. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
9. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები.
10. დანართები.
 - სამშენებლო გენ-გეგმა მასშ. 1:500
 - სამუშაოების კალენდარული გეგმა.

1. შესავალი

ქალაქ სიღნაღში, რაიონული სასამართლოს არსებული შენობის მომიჯნავედ არსებული შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია ტოპო-გეგმის და ფაქტიური აზომვების საფუძველზე და აგრეთვე გათვალისწინებულია მოქმედი ნორმები, წესები და ინსტრუქციები („სნ და წ – 1.04.03.85“, „სნ და წ – 3.01.01.85“, „სნ და წ – III-4-80“, სნ – 73).

დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის დამუშავებისას გათვალისწინებულია როგორც მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები, ასევე უსაფრთხოების დაცვის, ეკოლოგიისა, ბუნების დაცვის და მშენებლობის ინსტრუმენტალური კონტროლის საკითხები.

2. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ტერიტორიის სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე N1. სადემონტაჟო ობიექტების გაბარიტული ზომები და სამშენებლო მოცულობები მოცემულია ცხრილში N1.

ცხრილი N1:

	სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები	გაბარიტული ზომები მ-ში	სამშენებლო მოცულობა - მ	სამშენებლო სიმაღლე -მ
1	ორ სართულიანი შენობა	(3,65x3,85) მ.	90	6,40

სადემონტაჟო შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ტიპურია: ბეტონის ბლოკის მზიდი კედლებით და ქანობიანი თუნუქის გადახურვით, საძირკვლები ლენტური-ბეტონის.

კარ-ფანჯრები შენობაზე მეტალოპლასტმასისაა, გამოყენებულია ლითონის კარები, შენობები გარედან შელესილია ც/ხსნარით შიგნიდან კი გაჯით

სამუშაოების განხორციელების თვალსაზრისით ხელშემშლელი პირობები არ არის.

დაშლა-დემონტაჟის სამუშაოების განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებული და

რეკომენდაციები ჩამოყალიბებული და განმარტებულია მოპ-ის ცალკეულ თავებში.

3. მშენებლობის ვადა, მშენებლობის წარმოების მეთოდები

სადემონტაჟო ობიექტის სამშენებლო მოცულობა ტოლია $V=90$ მ³; მაგის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია „საწარმოების შენობების და ნაგებობების მშენებლობის ხანგრძლივობის“ შესაბამისად (სნ და წ. 1.04.03.85 და სნ. 440-72).

ნორმების შესაბამისად დემონტაჟის ხანგრძლივობაა 1.0 თვე. მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა – 0,1 თვე. ე.ი. $T=1.0$ თვე.

მოსამზადებელ პერიოდში სამშენებლო მოედანის ტერიტორია უნდა გასუფთავდეს და შემოიღობოს დროებითი ხის ღობით, ელექტრომომარაგება, შეტანილი უნდა იქნას დროებითი ნაგებობა, სადაც განლაგდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ოთახი და იარაღების შესანახი სათავსო. „სნ და წ. III-4-80-ის შესაბამისად.

სამშენებლო ნაგავი გაგვაქვს ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე.

სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩაიჭრას არსებული წყალსადენის და ელ.

მომარაგების კაბელები.

დემონტაჟის სამუშაოებს ვიწყებთ კარ-ფანჯრების და სახურავის კონსტრუქციების დემონტაჟით, შემდგომ წარმოებს კედლების, ტიხრების და იატაკების დაშლა ხელის ინსტრუმენტებით და მექანიზმების გამოყენებით.

სამშენებლო ნაგავის დატვირთვას ა/თვითმცლელზე ვაწარმოებთ, როგორც მექანიზმებით ასევე ხელით.

4. მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე სამშენებლო და სატრანსპორტო საშუალებების უწყისი

დემონტაჟის მოთხოვნილება სატრანსპორტო საშუალებებზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით არსებული ნორმების მიხედვით (სნ-73 გვ. 24).

ჩვენს შემთხვევაში დემონტაჟისა და სამშენებლო ნაგვის ტერიტორიიდან გასატანად შევარჩიეთ

1. ავტოტვირთვით ტვირთამწეობით 15.0 ტონამდე – 1.0 ც.
2. ბორტებიანი სატვირთო ავტომობილი ტვირთამწეობით 6.0 ტონამდე – 1.0 ც.
3. ექსკავატორი ჩაძირვის ტევადობით $V=0.5$ მ³ – 1.0 ც.
4. ავტომტვირთავი ბობკატი $V=1.0$ მ³ – 1.0 ც.

სატრანსპორტო საშუალების და ინსტრუმენტების მოთხოვნის უწყისი

№	მანქანა-მექანიზმების და ინსტრუმენტების დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	შენიშვნა
ა) სატრანსპორტო საშუალებები				
1	ავტომცდელი	ცალი	1.0	ტვირთამწეობით 15.0 ტნ-მდე
2	ბორტიანი სატვირთ. ავტომობილი	ცალი	1.0	ტვირთამწეობით 6.0 ტნ-მდე
3	ექსკავატორი	ცალი	1.0	$V=0.5$ მ ³
4	ავტომტვირთავი “ბობკატი”	ცალი	1.0	$V=1.0$ მ ³
ბ) ინსტრუმენტები				
1	ინსტრუმენტები (ურო, ძალაყინი, წერაქვი, ნიჩაბი-3 ც.) და სხვა	კომპ.	1.0	
2	ხელის ელ. სამტვრევი (BOSCH)	ცალი	1.0	
3	ელექტრო ხერხი	ცალი	1.0	
4	კომპრესორი (ორი ჩაქუჩით)	ცალი	1.0	შეკუმშული ჰაერის

5. მშენებლობის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით და წყლით

მშენებლობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და სასმელ-სამეურნეო წყალზე განისაზღვრება გამსხვილებული მაჩვენებლებით. არსებული ნორმებით (სნ-73 გვ. 18) და (სნ-73 გვ. 12).

ჩვენს შემთხვევაში:

1. მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე შეადგენს:

2.0 კვტ.

მშენებლობის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით

მიზანშეწონილია განხორციელდეს არსებული ქსელებით, ნახაზზე მითითებული კარადიდან.

6. ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები

სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია: სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი.

დროებითი შენობა-ნაგებობების საჭირო ფართობს ვანგარიშობთ მომუშავე პერსონალის რაოდენობის მიხედვით (სნ-73 ცხ. 52).

მუშების საშუალო რაოდენობა შეადგენს 9 კაცს. როგორც ავღნიშნეთ საწყის ეტაპზე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დასაყოფაცხოვრებო დანიშნულებით შესაძლებელია გამოვიყენოთ არსებული შენობები სადაც არ მიმდინარეობს დემონტაჟის სამუშაოები.

1. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი

$$F_1 = 1 \times 4.0 + 6.0 \text{ მ}^2 = 10.0 \text{ მ}^2$$

სადაც 1 არის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის რაოდენობა;

4.0 არის ნორმალური ფართი ერთ პერსონალზე;

6.0 არის სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის ფართი.

7. სამშენებლო გენგეგმა (ბანმარტებითი ბარათი)

სამშენებლო გენგეგმა შედგენილია 1:500 მასშტაბში; მასზე დატანილია დროებითი გზები და სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები.

ექსპლიკაცია

	სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები	გაბარიტული ზომები მ-ში	სამშენებლო მოცულობა - მ	სამშენებლო სიმაღლე -მ
1	ორ სართულიანი შენობა	(3,65x3,85) მ.	90	6,40

8. უსაფრთხოების ტექნიკა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები ენდა იყოს დაცული სამშენებლო-სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ III-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით;
2. მექანიზმების მუშაობის პერიოდში იკრძალება სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეთა და უცხო პირთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე;
3. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სახიფათო ზონაში დაუშვებელია;
4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტანდარტში 12.1.013-88 ელექტრო-კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში; ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
5. მუშები უნდა იყვნენ აღჭურვილი დამცავი ქაღირებით და ჩაფხუტებით. ასევე გააჩნდეთ სპეც.ტანსაცმელი და ხელთათმანები.

9. ეკოლოგიისა და გუნების დაცვის საკითხები

- 9.1. დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან, დანაგვიანებისგან და საკანილიზაციო წყლებით დაბინძურებისგან თავის აცილების მიზნით;
- 9.2. სამშენებლო ნაგავით დატვირთული ავტოთვიმცლელების საბურავები უნდა გაიწმინდოს და გაირეცხოს წყლის ჭავლით, ხოლო ავტოტრანსპორტის ძარაზე მოეწყოს მტვერის გაფრქვევის საწინააღმდეგო ბრიზენტის ტენტი.